

შეცდომების გასწორება

1. შეცდომაა აბავს, უნდა იყოს აბამს, ამ ზმნაში არასწორადაა განოყენებული თემის ნიშანი. სახელზმნაში არის ასოთშეთანხმება მა (დაბმა) და პირიან ფორმაში ის ამ თემის ნიშნად გადაიქცევა.
 2. შეცდომაა „ხალხმა არ უნდა დაკარგონ...“, უნდა იყოს „ხალხმა არ უნდა დაკარგოს“, რადგან ხალხი კრებითი სახელია და მასთან ზმნაც მხოლოდით რიცხვში დგება.
 3. ამ ქვეწყობაში გამოყენებულია მიზნის დამოკიდებული წინადადება, რომელსაც რათა ან რომ (და არა რადგან – მიზეზის დამოკიდებული წინადადების კავშირი) შეეწყობა.
 4. შეცდომაა „იმ ბავშვებზე, ვინც“, უნდა იყოს „იმ ბავშვებზე, რომლებიც“, რადგან ამ ქვეწყობაშია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მოგვიგებს კითხვაზე რომელი ბავშვები (და არა ვინ ბავშვები)? ამიტომ წევრ-კავშირიც შესაბამისი (რომლებიც) უნდა გამოვიყენოთ.
 5. უნდა იყოს “ყველა გონიერია, მაგრამ ნონი -- მაინც გამორჩეულად“.
- სიტყვა ნინოსთან ტირე აუცვლელია, რადგან ამ წინადადებაში გამოტოვებულია ზმნა და იგულისხმება პირველი წინადადების ზმნა (არის), რომლის ნაცვლადაც უნდა ვიხმართო ტირე.
6. შეცდომაა გაყიდვაშია, უნდა იყოს იყიდება. ეს სტილისტური ხარვეზი რუსული ენიდან გადმოსული კალკია (**в продаже**).
 7. შეცდომაა მე-15-ე, უნდა იყოს მე-15, რადგან არაბული ციფრით გამოსახულ რიგობით რიცხვით სახელს ორივე მაწარმოებელი (მე-- ე) ერთად არასდროს მოსდის. მე დაერთვის რიგობით რიცხვით სახელებს, რომლებიც მე თავსართით იწყება (მეთხუთმეტე, მე-15). დანარჩენებს დაერთვის ბოლოსართი ე (**25-ე**).
 8. შეცდომაა დედ-მამიშვილი , უნდა ეწეროს დედმამიშვილი, რადგან ეს სახელი ორცნებიანი კომპოზოტიცად (დედ-მამა) ნაწარმოები ერთცნებიანი კომპოზიტია და მას დეფისი აღარ სჭირდება.
 9. შეცდომაა „ღელეებიც კი ადიდდნენ“, უნდა ეწეროს „ღელეებიც კი ადიდდა, რადგან ქართულ სინტაქსში მრავლობითის აღმნიშვნელ უსულო ქვემდებარეს შემასმენელი

მრავლობით რიცხვში ვერ გადაჰყავს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა უსულო ქვემდებარე გასულიერებულია (ღელეები ტყის ამბავს მეჭურჩულებიან).

10. შეცდომაა „ამ ზაფხულზე სოფელში მივდივარ“, უნდა იყოს „ამ ზაფხულს სოფელში მივდივარ“, რადგან ზაფხულს მიცემით ბრუნვაში დგას და უთანდებულოდაც მოგვიგებს კითხვაზე როდის? მას არც ერთი თანდებული (ზე ან ში) არ სჭირდება.

11. შეცდომაა „ცოლ-ქმარი გვიან ჩამოვიდნენ“, უნდა იყოს „ცოლ-ქმარი გვიან ჩამოვიდა“, რადგან ცოლ-ქმარი კომპოზიტით გამოხატული ქვემდებარეა და მას შემასმენელი მრავლობითში ვერ გადაჰყავს.

12. შეცდომაა მე-19-თან, უნდა იყოს მე-19-სთან, რადგან არაბული ციფრით გადმოცემულ რიგობით რიცხვით სახელს თანდებულთან ერთად ბრუნვის ნიშანიც სჭირება.

13. შეცდომაა „იკრიბებოდნენ ყველა“, უნდა იყოს „იკრიბებოდა ყველა“, რადგან ნაცვალსახელი ყველა თავადვე აღნიშნავს მრავლობითს და მასთან სხვა სახელი მხოლობითში დგება.

14 შეცდომაა „შოტლანდია, ირლანდია ეს მხარეები...“, უნდა იყოს „შოტლანდია, ირლანდია -- ეს მხარეები...“, რადგან აგებულების მიხედვით ეს შერწყმული წინადადებაა, რომელსაც ჩამონათვალი იწყებს და მას მოჰყვება მისათითებელი სიტყვა. ასეთ კონსტრუქციაში ჩამოთვლას აუცილებლად უნდა მოსდევდეს ტირე.

15. შეცდომაა „იმ უსინათლო კაცმა...“, უნდა იყოს „იმ უსინათლო კაცს...“, რადგან რთული ქვეწყობილი წინადადების მთვარი წინადადების ქვემდებარე ბრუნვაში ეწყობა თავის შემასმენელს მაშინაც კი, როცა ის დამოკიდებული წინადადებით არის გახლეჩილი (უსინათლო კაცს ... შეარქვეს“.

16. შეცდომაა სახლმუზეუმი, უნდა იყოს სახლ-მუზეუმი. ეს კომპოზიტი ორმაგი სახელწოდებისგან შედგება და მას დეფისი სჭირდება.

17. შეცდომაა „გუშინ მოხდა... დაზიანება“, უნდა იყოს „ვაგონშემკეთბელი ქარხანა დაზიანდა“. ეს სტილისტური შეცდომა რუსული ენიდან გადმოღებული კალკია (**было повреждено**).

18. შეცდომაა „...არც სიყვარულთან იყო გულმწყრალად რომანი მაინც ვერ დაასრულა“, უნდა იყოს „... არც სიყვარულთან იყო გულმწყრალად, რომანი მაინც ვერ დაასრულა“. ამ

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთვარი გახლეჩილია დამოკიდებულებით და მძიმე დაისმის არა მარტო დამოკიდებული წინადადების თავში, არამედ ბოლოშიც.

19. შეცდომაა „ადამიანმა ადამიანს გაჭირვებაში უნდა დაეხმაროს“. უნდა იყოს „ადამიანი ადამიანს გაჭირვებაში უნდა დაეხმაროს“. დაეხმაროს ზმნა II სერიის მე-2 კავშირებითის მწკრივში დგას და მას ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში ეწყობა.

20. შეცდომაა ძინავს, უნდა იყოს სძინავს, რადგან ეს ინვერსიული ზმნაა, რომელსაც აწმყოში სუბიექტი მიცემით ბრუნვაში ეწყობა, როცა ჩვეულებრივ ის სახელობითში დგას. ასეთ ზმნებში აღრეულია პირის ნიშნები და ირიბი ობიექტური პირის ნიშანი ს მაშინაც მოსდის ზმნას, როცა ის ობიექტს არ შეიწყობს.